რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე თავ. მუხრან ბატონის სახლებში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი
მთელის წლისა . . 9 მან. | სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა. . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა
სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დაუბეჭდავ გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

## ტელეგრამები
(«ჩრდილოეთის სააგენტოსი.»)

მოსკოვი, 7 ივლისს. გუშინდამ მოსკოვში მოვიდა საშინელი შხაპუნა წვიმა და მოვარდნილმა ნიაღვრებმა ბევრი სარდაფი ამოავსო წყლით. დაიხრჩო ორი ყმაწვილი, მოსკოვის ახლო მეხმა რამდენიმე კაცი მოკლა.

სევსკი, 4 ივლისს. ცეცხლმა გადაწვა თითქმის ნახევარ ქალაქი, ხალხიც ბევრი დაიწვა.

კიევი. აქაური ოლქის სასამართლო შეუდგა ცხენის ქურდების საქმის გარჩევას, ქურდები 43 კაცია სულ, საქმე გაგრძელდება ერთ კვირას.

კაირი. უკანასკნელ დღეებში ხოლერისაგან დაიხოცნენ: კაირში—61 კაცი, დამიეტაში—17, ხომარში—14 და ალექსანდრიაში—1.

## ახალი ამბები.

≈≈ ბათუმიდამ გვწერენ, რომ იქაურებს ერთობ აშინებს ბათუმის ნავთ-სადგურში მდგომარე გემებზე ამართული ყვითელი დროშები, რომლებიც «ხოლერის» შიშის ნიშანია. ეს ნავები ყველა ანატოლიდან არიან მოსულები,—რომლებსაც ავად-მყოფები ჰყოლიათ და 14 დღე კარანტინი უნდა გასწიონ აქ. ძალიან საფუძვლიანი ბათუმელების შიში, რადგანაც ერთობ უპატრონობა ეტყობა ქალაქს. ყოველგან სიბინძურე და ამწვანებული ალაგ ალაგ დაგუბებული წყალი კარგს არაფერს უნდა გვიქადდეს ავად-მყოფობის მეტს.

≈≈ იქიდამვე გვატყობინებენ: ზომაზედ გარდამეტებულია ბათუმიდან მოგზაურების შეწუხება ბათუმის დამოჟნის ზოგიერთა მოხელებთაგან! რომ ყველა ესენი თანხმად წესდებისა მოქმედებდნენ კიდევ ღვთის წყალობა იქნებოდა, მაგრამ თანხმან წესდებულების მოქმედებას აღარ ვსთხოვთ ოლონც ი რაცლა «პრინციპების» დამატებას არ სცდილობდნენ! ამ პატკოვიჩებს ამ ნაირად ხალხის შევიწროებით ჰგონიათ ევროპიის ვაჭრობას დაამხობენ. ამას წინეთაც ერთი ბოვში გზიდან დაუბრუნებიათ: «შენ ევროპიულ ბოთლით ბაქოს ნავთის გატანის ნება არ გაქვსო».

მე ამ მაგალითებს მოგახსენებთ და დანარჩენებს თქვენ თითონ წარმოიდგენთ!..

≈≈ ორთა ძმათა მელაძისშვილებმა და ყურ-მოჭრილ ყმათა უსამართლოების და ბოროტებისამ თათრული 350 ბეჭდით შეიარაღებული «არზით» სთხოვეს ბ. სმეკალოვს, რომ ერთი მათი საყვარელი შტატ გარეთ დარჩენილი პოლიციის მოხელე თავისვე ღირსებით თავის თანამდებობაზე დაეტოვებინა, მაგრამ ბ. სმეკალოვმა, კარგად მცოდნემ ამნაირი ყალბი თხოვნებისა, უარი უთხრა.

≈≈ დიდი ბაზარი გაჰხსნიათ ბათუმის დერციკებს! ყველა შტატს გარეთ დარჩენილები ჩოხებს აკერინებენ, რადგანაც ამბობენ «სერთუკების» ტარების ნება აღარ ექმნებათო! რა უწყალოა ეს უმადური დროთა ბრუნვა?!!.

≈≈ ბაქოს გზის გახსნის შემდეგ, ბათუმელები მოველოდით, რომ სარჩო გაგვიაფდებოდა, მაგრამ სამაგიეროთ ვაჭრები გაგვიიაფა! ყველა ფეხის გადადგმაზე მათ შეხვდებით მათი ოინბაზობით. ფოთის ვაჭრები კი ნაცარქექიებსავით თავის კერას ვერ მოსცილებიან და შორიდან წუწუნობენ. ღმერთი რომ კაცს გაუწყრება ხატები რას გაურიგებსო, იტყვიან. რით ველარ შეიტყეთ თქვე დალოცვილებო, რომ «ჩიტი გაფრინდა»!!.

≈≈ გაზ. «კასპში» სწერენ, რომ იმითკენ საქონლის ჭირი გავრცელებულა. აქამდე მარტო ყუბის მაზრაში იყო და ეხლა სხვა ალაგებში გაჩნდაო.

≈≈ ერთი მოსკოველი არტისტების დასი გავისტუმრეთ და ეხლა მეორე დასი მოდის, ისევ მოსკოველი, მაგრამ პუშკინის თეატრისა. მათ შორის არიან თბილისის ძველი ნაცნობი ანდრეევ-ბურლაკი, გლამამეშჩერსკაია, პისარევი და სხვანი.

## ორი პანი
(ბჟიდლოვიჩი და ფშიქში ციულსკი)

### კისრული.

აფთიქარი, პან ფშიქში ციულსკი, რომელზედაც მე მინდა მოგითხრათ, განაგებდა სამკურნალო ნაწილს საქართველოს ერთს პატარა ქალაქში—მდოლეთში. მაგრამ ჯერ ნება მიბოძეთ ეს პატარა ქალაქი გაგაცნოთ. მდოლეთი სძევს კავკასიის მაღალი ქედის დაბალი ტოტის ერთს კალთაზედ, იქ, სადაც საქართველოს ვაკე ჩრდილოეთისაკენ თან-და-თან იფხუწება და ლიტრის პირივით ვიწროვდება. ძველი ქართველები, რომელთაც, მართალია სტრატეგიის სახელი არ იცოდენ, მაგრამ სტრატეგია კი კარგად ესმოდათ, ამ ქალაქს კლიტეს ეძახოდენ, რომელიც, ვითომ, საქართველოს ჩრდილოეთის მხრითა ჰკეტავდა. ისტორიკოსებიც ემოწმებიან, ამაზედ ზევით საქართველოში შემოსეულ მტერს ველარ აუტანებია; ზევიდამ ხომ, რასაკვირველია ფეხს ვერ შემოსდგამდენ, მინამ დარიელის კარი დაჯარული იყო. მდოლეთი ფოსტის გზიდამ სძევს ერთ ვერსზედ და ისე ლამაზად და კეკლუცად ეჩვენება შორიდამ კაცის თვალს, რომ ვინც პირველად გადმომდგარი ქედიდამ გაჰხედავს, არ შეიძლება განცვიფრებით არ წამოიძახოს: ია, რა კოხტა ქალაქია და სად მოჰყოლურტულა, აფსუს? მაგრამ მდოლეთის სიმშვენიერე მარტო შორეული თვალის მოსატყუებელია, როგორც ატყუებს თვალს გონჯი ქალი, რომელსაც მოღმეჭლი პირის ნაკეცები ფერ-უმარილის ბათქაშით დაუფარავს. მდოლეთს ქალაქობა არაფერში ეტყობა და ბინადარ მცხოვრებლებს ამ სახელით არაფერი ეცხობათ, მაგრამ მაინც კმაყოფილნი არიან, რომ მდოლეთი ქალაქების სიაში ჩაწერილი და ყოველთვის მზად არიან თავები ზედ შეახოცონ, ვინც მათ საყვარელს მდოლეთს ამ ღირსების ჩამოხდას დაუპირებს. წინათ, ღვთის წინაშე, იმედი ჰქონდათ, რომ რა კი მდოლეთს ქალაქი დაერქმევოდა, ვაჭრობა გაძლიერდებოდა, განათლება შევიდოდა და სხვანი, მაგრამ ეს სულ ცრუ იმედები გამოდგა.

ვაჭრობა არ გაძლიერდა კია, ვაჭრები უფრო დაკოტრდენ მას აქეთ, რაც მდოლეთში ჩინოვნიკები გაჩნდენ, რადგანაც ამ უკანასკნელებს სუყველაფერი ნისიად მიაჰქონდათ, რომლის გადახდაც დავთარში არ უწერიათ და რასაც სარჩოდავი ვაჭრები გლეხ-კაცობისაგან იგებენ, იმასაც ჩინოვნიკებს აჭმევენ. ჩინოვნიკობას განათლება არაფერი შემოუტანია მდოლეთში იმის მეტი, რომ განსაკუთრებით მედუქნეებში «იჩით» ერთანეთის მოხსენება მეტად მოდაში შემოვიდა. მას აქეთ დაიბადნენ მდოვლეთში ხოსრო მამუკიჩ, ყაზარ ძანდარიჩ, პიკო გლახიჩ და სხვანი მრავალნი. ნამეტნავად მინამ მდივანბეგობა იყო ყველაფერი «ჩვენებურად, ძველებურად» მიდიოდიალებდა: ქართული მუშტი, ქართული მათრახი, ქართული დამწყალობნება დედისა, მამისა, ძალუისა და სხვათა. როდესაც მდივან-ბეგობა ახალი წესებით შეიცვალა და ყველა ბეცია და ყაზარა ახალ სასამართლოში «თქვენობით» მოიხსენეს და დაუგდე და რას მიქარავს მაგიერ, დაბძანდი დაბძანდი და რას ბძანებთ-ს ეუბნებიან, მაშინ კი, ღვთის წინაშე, განათლებამ ჩქარის ნაბიჯით გასწია წინ. პირველი ნიშანი ამ განათლებისა, რომლის მოციქულებადაც «ატუკანტები» უნდა ჩაითვალონ, ის იყო, რომ ყველამ ცოლებზედ და სიდედრებზედ გადიტანეს თავიანთი ქონება და მოვალეებს ენა გამოუყვეს.

შემდეგი ნაბიჯი განათლებისა ახლად გაჩენილმა აფთიქარებმა წაადგმევინეს მდოლეთლებს. როგორც შეეფერება ქალაქს, მდოვლეთი ადმინისტრაციით, საფინანსო ნაწილით, იუსტიციით და მხედრობით, თუმცა მისი მხედრები უფრო ბატებს და ლორებს დასდევდენ და დღესაც დასდევენ,—გამართული იყო, მხოლოდ სამკურნალო ნაწილი კოჭლობდა. მართალია ერთი სამაზრო ექიმბაში იყო დანიშნული, მაგრამ ის უფრო მაზრის ტოლუმბაში იყო, მინამ მაზრის ექიმი. ეს მესამე წელიწადია, რაც მდოლეთში პირველად აფთიქა დაარსდა, რომელიც ერთმა მოხეტებულმა ურიამ გაალო. სულ ხუთი თუმნის ქინაქინა დასასაქმებელი ზეთი არ ექნებოდა იმ ურიას თავის აფთიქაში და შვიდას თუმნად კი შეიტანა ცეცხლისაგან საზღვეველ საზოგადოებაში. პატარა ხანს უკან მისცა ცეცხლი გადაბუგა მთლად თავისი ქონება, რომელსაც ერთი ფრთა მოტეხილი ბატი ჰზიდავდა და შვიდასი თუმანი ჯიბეში ჩაილაგა. მდოლეთელებმა პირები დაალეს და იმ ურისაგან ეს მეცნიერება შეისწავლეს. სწორედ მოგახსენოთ, ჯერ ამითი არავის უსარგებლია, მაგრამ განძრახვა კი ბევრსა აქვს. ურიის შემდეგ, აფთიქრად მობძანდა მდოვლეთში პან ფშიქში ციულსკი, როგორც ჰხედავთ, ჩამომავლობით პოლიაკი, მოხერხებული ლობე-მძრალა, მკვეხარა, მეტიჩარა და ნამეტნავად ქალებთან, უნამუსო. საზოგადოდ, ფერშალი, აფთიქარი და სოფლის მწერალი (ეს უკანასკნელი ჯურა ჯერ ჩვენში არ გამორკვეულა, რუსეთში კი ქერის მარცვალივით გაირჩევა) ერთი ტიპის ხალხს წარმოადგენენ. უთუოდ ულვაშები გაწკიპინებული აქვთ და წვერი მოპარსული. რაც შეიძლება უკანასკნელ მოდაზედ იცმენ, განსაკუთრებით «პინჯაკი» უყვართ. ქალებთან ორმაგ სიტყვას და გაცვეთილს კომპლიმენტებსა ხმარობენ. ხელის ჩამორთმევის დროს ქუსლის ქუსლზედ, შემორტყმა იციან; უთუოდ სკრიპკაზედ, გიტარაზედ, ან გარმონზედ საყველ-პურო დაჭყატუნება იციან და რამდენიმე საგრძნობელი რომანსის მღერას მოახერხებენ. ზედ მიწევნით ესეთი ბძანდება პან ფშიქშიციულსკი. რა მწამს მოვიდა, მაშინვე მაზრის ბობოლებში შაერია, ტოლად და ამხანაგად აჩვენა მათ თავისი თავი, შეიქნა მაზრის «ბარიშნების» კავალრად და პირველი ღამიდამვე რამსში ჩაჯდა. ეს უკანასკნელი სრულიად საკმაო იყო, რომ არისტოკრატიას ფშიქში ციულსკი მთლად განათლებულ და გაზდილ კაცად ეცნოთ.

არ იფიქროთ, რომ პან ფშიქში ციულსკი მდოვლეთში ყოფილიყოს პირველი პიონერი ცივილიზაციისა პოლიაკთაგანი. იმაზედ დიდი ხნით წინეთ მდოვლეთს ანათლებდა ერთი მისი ჯილაგის კაცი, პან ბჟიდლოვიჩი. ერთობ საეჭვო კაცი იყო ეს ბჟიდლოვიჩი: ვერავინ ვერ შეიტყო მისი წარსული. ზოგი ამბობდა პოლშის უკანასკნელი აჯანყების დროს ბჟიდლოვიჩს დიდ-ძალი მამული შეეძინა (აქედამ შეიტყეთ რა შვილიცა ყოფილა ეს ბატონი! აჯანყების დროს მამულის პატრონებმა თავიანთი მამულები დაკარგეს და თუ იმან, ბუნებით პოლიაკმა, მამულები შეიძინა, ცხადია, რომ ერთი სხვა ნაირი ნიჭი უნდა ჰქონოდა, რომელსაც ყურში ჩაჩურჩულება, სიბნელე და უკანა კარებიდამ სიარული უყვარს); მერე, ვითომ, ესე კეთილად შეძინებული მთლად მიერთმიოს, პროკურორის ამხანაგად გამხდარიყოს სადღაც და ეხლა მდოლეთში მოაგდო რაღაც ქარმა იქაური სოლომონ ბრძენის თანაშემწედ. ეს ბიოგრაფიული ცნობები მდოლეთის ნესტორებმა შემთხვევით შეკრიბეს, ისიც იმის შემდეგ, როდესაც მდოლეთის სასამართლოს ქაღალდი მოუვიდა პან ბჟიდლოვიჩის მოვალეებისაგან, რომელშიაც ის «პატიოსანი გვამნი» დიდ სამდურავს სწერდენ ბჟიდლოვიჩს, რომ იმდენა ოქრო-ვერცხლი და ბანკის ბილეთე-

ბი იმათთვის თავზედ მოეხვია და თითონ კი გამოქცეულიყო. მდოლეთშიაც ბევრ ნაირი ხმები დადიოდა იმაზედ. ამბობდენ, მაგალითებრ, რომ პან ბჟიდლოვიჩს ხელ-უკულმა (სილა არ გეგონოთ) უყვარს და ქალების მუსუსია. პირველი ცოდვისა კი რა მოგახსენოთ—სულს ვერ დავწვავთ, რადგანაც ყოველთვის უმოწმოდ და ჩუმად ხდბა; მეორე კი ყველასთვის ცხადი იყო. კატას ერთხელ მოსდის წელიწადში მარტი და ჩვენი პან ბჟიდლოვიჩისთვის ყოველთვის მარტია—ისე გახელებული დარბის აღმა და დაღმა. მაინც მდოლეთელ ქმრებს იმისი არაფერი შიში არ უნდა ჰქონდეთ, რადგანაც იმის სიმშვენიერეზედ მდოლეთელ ქალს გული ძნელად წაუვა. იქაც ისევ მოსულ «შლიაპკიანებზედ» გაიმარჯვა და ღმერთმა ხელიც მოუმართოს. უფრო კი ხშირი სტუმარი იყო ერთი პატარა, თეთრი სახლისა, ხაზინის მეზობლად, სადაც დილით საღამომდე ფანჯარასთან გაშეშებული ეშხით იწოდა უბედური. ბევრჯერ ფანჯარას შიგნითაც უნახავთ პანი. ერთხელ თურმე, მთვარიან ღამეში, ფანჯრებიც ღია ჰქონდათ და პან ბჟიდლოვიჩი კრაოტს, თურმე, ეზომებოდა—რამ სიგრძე გამოვიჭრებიო. აქ დასაძრახისი, რასაკვირველია, არაფერია, მაგრამ მაინც ერთ ბოროტ სულს ფანჯრიდამ ნასროლი კატა დეერტყა. პან ფშიქში ციულსკის ძრიელ გაეხარდა თავისი მსგავსი პან ბჟიდლოვიჩის ნახვა, მეგობრულად ერთმანეთს ხელი გაუწოდეს და, მგონია, პირველად გაისმა მდოლეთის ჰაერში პოლშური ენა, როდესაც ორმა, შორით გადმოვარდნილმა პანმა, ერთმანეთს უთხრეს: «ბარძო ფშიემნე ვიდეც პანა!» სასიამოვნო იყო პან ბჟიდლოვიჩისთვის თავისი მემამულეს ნახვა ამ გადმოკარგულს ქვეყანაში, მაგრამ ჩუმმა შურმა და მტრობამაც მაშინვე გაუელა გულში. პან ფშიქში ციულსკი, როგორც უფრო იმაზედ ახალგაზდა, უფრო ფრანტი და მოხერხებული დიდ მეტოქეობას გაუწევდა იქაურ «შლიაპკიანებში» ბჟიდლოვიჩს და ამ უკანასკნელს ეს აწუხებდა. მაინც პოლშელთ წესისამებრ, რომელნიც მოსისხლე მტერსაც მეგობრულად მიეგებებიან და თეთრს კბილს უჩვენებენ, ერთმანეთს შეხვედრაზედ სულ ფუნდრუკით მიეგებებოდენ ხოლმე და ერთი-ერთმანეთს აღარ აცლიდენ: იასნე ველმოჟნემუ პანუ მოე შანოვანიე! მათთვის შესაცილებელს საგანს შეადგენდა ეხლა ორი პატარა ტყუპივით ერთმანეთის მსგავსი და, რომელნიც მდოლეთში, ვითომ, განათლების შემოსატანად მოვიდენ. მაგრამ ამ ორმა ახალი დროის, მოციქულთა სწორმა ქალებმა, კრძალვისა და თაყვანების მაგიერ, ისეთი გრძნობები აღძრეს, რომ იქაური, უიმისოდ მშვიდი ყმაწვილებიც კი აიყოლიეს და იმათთვისაც მარტი დადგა. რასაკვირველია, ამ ახალგაზდა ქალების თანაგრძნობა უფრო პან ფშიქში ციულსკიმ დაიმსახურა და პან ბჟიდლოვიჩი შტატ გარეთ დარჩა. მეტი რაღა გზა ჰქონდა, ბჟიდლოვიჩი თავის მწარე ხვედრს დაემორჩილა, სთქვა თავის ჩათუთქულს გულში:

წავალ—სადაც უკბილობას
მახინჯობად არა სთვლიან,
სადაც ჩემებრ ბინძურებსა
ლამაზებში არა სცვლიან!..

და თავ ჩაკიდებულმა გასწია ძველი მიჯნურის თბილი უბისკენ.

დარჩა პან ფშიქში ციულსკის ბურთი და მოედანი და, თუ შეიძლება ზოგიერთი პოეტების დახუჭუჭებული სიტყვა ვიხმაროთ, ცურავდა და ქყუპულაობდა ამისთანა ნეტარების მორევში. მდოლეთელი ყმაწვილები შორიდამ შესცქეროდენ და ისე გაჯავრებული იყვნენ, რომ თუ სადმე მოახელებდენ, ღვთის წყალობა გაქვთ,—პან ფშიქში ციულსკის ფერდებს დაუზელდენ. მდოვლეთის დარბაისელი მანდარინები ვითომ ვერც კი ჰხედავდენ რა ამბავი ხდებოდა ორს უწყებათა შორის: სამკურნალოსი და ხალხის განათლებისა. ისინი, თუ სწორე კნებავთ, კიდეც კარგადა ჰხედავდენ, კიდეც იცოდენ, რომ განათლების მოციქულთ სხვა ნაირი ყოფა-ქცევა მოეთხოვებათ, მაგრამ იმათ ისიც კარგად ესმოდათ, რომ თუ გინდა ბუზებმა აღარ შეგაწუხონ, ჯამით თაფლი უნდა მოიდგა გვერდზედ და ამიტომ გაჩუმებულნი იყვნენ. ის ორი «შლაპკიანი» რომ არ გამოეგზავნა მათთვის ღმერთსა, მაშინ პან ფშიქში ციულსკი მათ მეუღლეებზედ მიიტანდა იერიშს და რომელსამე დარბაისელს ივან ნიკიტიჩს, ან ნიკიფორ ნიკანორიჩს იმ სიბერის დროს სარეცელს გადუულახავდა. ეხლა კი შიში არა ჰქონდათ პან ფშიქში ციულსკის მხრიდამ და შეეძლოთ კარებ ღიაში განცხრომითა სძინებოდათ. მხოლოდ ერთი სიმონ ზახარიჩი პან ფშიქში ციულსკის გარყვნილობას ვერ ურიგდებოდა და მუდამ ჩოჩქოლობდა. ერთხელ მდოვლეთის დიდკაცობამ ბაღში ვახშმის მირთმევა განიძრახა და კიდეც გამართა. პან ფშიქში ციულსკი, თავის დროს, თავისი მწველების კარებზედ დაერჭო და საკავალროდ გაეწყო. ის იყო ორივე მკლავები მოამზადა და ქალებს ხელები უნდა გაეყარათ, როდესაც საიდანღაც გამოუჩნდა სიმონ ზახარიჩი, უიმისოდ კავალრობაში ზანტი, და მთასავით ჩაუდგა შუაში ქალებს. ორივე დები იღლიებში ამოისხა და გასწია. არ იფიქროთ, რომ სიმონ ზახარიჩი მეტოქეობას უწევდა ფშიქში ციულსკის. მე უფრო იმ რწმუნებისა ვარ, რომ იმას მისი გარყვნილობა ეზიზღებოდა და ჯავრსა ყრილობდა. პოლშელმა პანმა მეტი ველარა მოახერხა-რა, ჩამოართო ქოლგები და წამოსასხმელი ქალებს და ბიჭივით უკან გაედევნა. ვახშამზედაც სიმონ ზახარიჩმა ორივე დები გვერდ შემოისხა და პან ფშიქში ციულსკი ახლო არ მიუშვა. ის მაინც პირ-და-პირ დაუჯდა და იქიდამ ელოზღანდარავებოდა. სიმონ ზახარიჩი თავისთვის ვახშამს ჩუმად ალაგებდა და ხანდისხან გაქნილს აფთექარს მკაცრად შეუბღვერდა ხოლმე.

ვახშამი გაათავეს. სიმონ ზახარიჩმა ისევ იღლიაში ამოიჩარა ქალები და შინისკენ გაემართა. ეხლა კი პან ფშიქში ციულსკის ღვინო უპწკინავდა თავში და, უიმისოდ მხდალს, გაბედულობა მოემატა. ერთს ვიწროში გადუდგა წინ და ამაყად უთხრა: რა არის, მაჰმადის რჯულისა ხომ არა ხარ, რომ ორ-ორი დაგისაკუთრებია? მომეცი ერთი მე.

— გზიდამ ჩამომეცალე! შეუტია გულით ძველმა ქართველმა.

— არ იქნება, ერთი მე უნდა დამითმო!

გაჯიუტდა შეზარხოშებული პოლიაკი, რომელსაც უნამუსობა მოჰმატებიყო. სიმონმა ბევრი აღარ ალაპარაკა, გაანთავისუფლა მარჯვენა ხელი, სთხლიშა ყბაში და მდოვლეთის კავალერი თავის გაპეწილი სერთუკით კუტალივით გააგორა მტვერში. სიმონი წიხლით შედგომას უპირებდა, მაგრამ აღარ მიუშვეს. ესეთი უბედური ღამე დაუღამდა პან ფშიქში ციულსკის და რამდენიმე ხნის სიამოვნება ერთბაშად ჩამწარდა...

მეორე დღეს დილით ადრე შეიყარნენ: ივან ნიკიტიჩი, ნიკიტა ივანიჩი, პეტრე საველიჩი და სხვანი და გასწიეს გატყეპილი აფთექარისაკენ «выразить свое соболѣзнованіе,» როგორც თითონ ამბობდენ. პან ფშიქში ციულსკი პირ-მოწმენდილი მიეგება, ვითომ ბუზიც არ აფრენია. სუყველანი სიმონ ზახარიჩს აგინებდენ და ურჩევდენ ეჩივლა. აფთექარი ყოყმანობდა. იქიდამ რომ გამობძანდენ, წინ შეეფეთათ სიმონ ზახარიჩი, რომელსაც გამარჯვება მიულოცეს და ძლიერ ემადლიერებოდენ. ერთი იქაური მებატე მხედრების უფროსიც უმტკიცებდა აფთექარს, რომ კეთილშობილმა კაცმა ეგეთი შეურაცხყოფა არ უნდა დასთმოს და სისხლით უნდა დაიურვოს ეს შერცხვენა. დუელი! დუელი! ყიროდა მამაცურად და თან თითონვე ეშინოდა ამ საშინელი სიტყვისა. პან ფშიქში ციულსკი გაოცებით უყურებდა და თავის გულში ფიქრობდა: რას გადასცემს? რამდენჯერაც მე გამტყეპონ, თუ ყველანი დუელში ვითხოვე, სად წავა?!

ეხლაც ფშიქში ციულსკი ძველებურად კავალრობს, ძველებურად ყველასთან მიღებულია. ეგეთი გახლავთ მდოლეთში შეხედულება კაცის პიროვნების ღირსებებზედ და ზნეობითი სიმაღლე. ვინც აქაურ ცხოვრებას დაუკვირდება, არ შეიძლება გრიბოედოვის სიტყვები არ წამოიძახოს:

«Люди же въ здѣшней сторонѣ!»

დავით სოსლანი.

## ზოგიერთთ საყურადღებოდ.

(წერილი რედაქციისადმი.)

1860 წლებში რუსეთის სწავლა-განათლება კაი გზას დაადგა და აჩქარებული ნაბიჯით გაემართა. ამ წლებს არც ჩვენ კავკასიელთა ცხოვრებაში გაუვლია შეუმჩნევლად. სხვათა შორის მაშინ დაარსდა ჩვენში ესრედ წოდებული «მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება» რომლის მიზანი იყო, როგორც თვით საზოგადოების სახელივე გვიჩვენებს, აღედგინა კავკასიაში ქრისტიანობა. ამ საზოგადოებამ დაარსებისთანავე გაგზავნა კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხეებში ნასწავლნი მისიონერნი, მაგრამ საქმე ისე კარგად ვერ წავიდა, როგორც ეგონათ; ბოლოს იფიქრეს, ქრისტიანობის აღდგენას ისე არაფერი ვერ გაადვილებს, როგორც სწავლა-განათლებაო და ამიტომაც საზოგადოებისაგან გაგზავნილო-მღვდლებს მისწერეს, რათა თავის სამრევლოში სკოლა გაეხსნათ და ადგილობრივ მცხოვრებთ შვილებისათვის ესწავლებინათ. ამ შრომისათვის მ. მ. მღვდლებს კერძო ჯამაგირი დაუნიშნათ, ასე რომ ერთსა და იმავე დროს ორ გვარ ჯამაგირს იღებდნენ, ერთს როგორც მისიონერი, მეორეს როგორც მასწავლებელი. ამ გვარად 1865 წლამდის განუკითხავად იღებდნენ ორ ჯამაგირს; ამ წელში კი სკოლების გასასინჯავად გაგზავნეს [illegible] დ. ბაქრაძე და ბეს. ღოღობერიძე, მაგრამ ამ გასინჯვამ აღმოაჩინა, რომ მღვდლები მხოლოდ ჯამაგირს იღებდნენ და საქმეს კი არაფერს აკეთებდნენ. ეს პირნი მეორე წლებშიაც გაიგზავნენ და ისევ ის ნახეს, რაც პირველად. ეს გარემოება მიაწერეს: ერთის მხრით მღვდლების უსწავლელობას და მეორეს მხრით ამათ დაუდევრობას. ამის შემდეგ, საზოგადოებამ არჩია, არჩია თუ როგორ გაუმჯობესონ სკოლების საქმე და მივიდნენ იმ დასკვნამდის, რომ სთხოვონ გახსნა სამასწავლებლო სასწავლებლისა მართებლობას, სადაც ოსტატები საზოგადოების სკოლებისათვის უნდა მომზადებულიყვნენ. ამ აზრით გაიხსნა 1861-წ-ში ალექსანდრეს საოსტატო სემინარია, სადაც პირველად შეასრულა კურსი 20-25 ახალგაზდა ყმაწვილმა. თითქმის ყველა ამათგანნი გაიგზავნენ საზოგადოების სკოლებში; ამ სკოლების რიცხვი ადიოდა იმ დროს 50-დის და რამოდენიმე წლის შემდეგ თითქმის ყველა სკოლას პედაგოგიურათ დამზადებული ოსტატი ყვანდა. ამ გვარად დღემდის მიდის ამ სკოლების საქმე. მართალია ხან-და-ხან ზოგიერთ სკოლებზე საჩივრები ისმოდა ხოლმე ჩვენებურ ლიტერატურაში, მაგრამ შემდეგისა დაგვარად სწორდებოდა შემჩნეული ნაკლი.

ამ ჟამად კავკასიაში, ადმინისტრაციაში ცვლილების მოხდენის შემდეგ, ხმა გავარდა ვითომ სამღვდელოება და სკოლები საზოგადოებისა საქართველოს ეგზარხოსს უნდა ემორჩილებოდნენო და თანაც იმასაც ამბობენ, რომ მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოებას განძრახვა აქვს სკოლები ისევ ძველებურად მღვდლებს მიანდოსო.

ჩვენის აზრით სასულიერო საქმე, საზოგადოებისაგან მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას რომ ჰქონდეს მინდობილი და სასწავლებლები განათლების მზრუნველს ბ. იანოვსკის, ის აჯობებს.

ერთი მრავალთაგანი.


# განცხადებანი

ინგლისური რკინის კრავოტები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფათ სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვზები, ფადნოსები, კლიტეები, ხაფანგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიჩბები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის ხარისხისა. (100—86)


Дозв. цензурою Тифлисъ, 9 Іюля 1883 г. ექ. ხელაძის სტამბა. (Типографія Е. Хеладзе.) გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.